# სასწავლო პროექტი - ქართული ენის განმარტებითი online ლექსიკონი

| სასწავლო თემის ავტორი | |
|---|---|
| სახელი და გვარი | გვანცა გოგალაძე |
| რაიონი | გლდანი - ნაძალადევი |
| სკოლა | # 177 საჯარო სკოლა |
| ქალაქი | თბილისი |

**თემის მონახაზი**

**თემის დასახელება**

ქართული ენის განმარტებითი Online ლექსიკონის მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოსთვის.

**თემის შინაარსი**

დავალების უკეთესად შესრულებისა და ლექსიკონის შედგენის პრინციპის გააზრების მიზნით, მოსწავლეები ეცნობიან მთლიანობაში თავიანთ სახელმძღვანელოს, სქოლიოებს, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, სულხან-საბას „სიტყვის კონას“. მოსწავლეები მუშაობენ გუნდურად და ინდივიდუალურად. ეძებენ უცხო სიტყვებს ტექსტებში, განმარტანენ და მიუთითებენ ციტატას, სადაც გამოყენებულია ეს სიტყვა/ფრაზა. აუცილებელია გაიაზრონ, რამდენად საჭიროა მათ მიერ შექმნილი პროდუქტი სხვებისთვის.

**საგანი**

ქართული ენა და ლიტერატურა, ისტ.

**დონე/კლასი**

საბაზო საფეხური, მეშვიდე კლასი

**განხორციელების დროის ჩარჩო**

8 კვირა, პრეზენტაცია სკოლაში.

**თემის საფუძვლები**

**შინაარსობრივი სტანდარტები და ინდიკატორები**

**ქართ. VII. 4.**
- ჯგუფთან ერთად ამზადებს სადისკუსიო გამოსვლას: დამოუკიდებლად დაამუშავებს საკითხს, მოიძიებს ინფორმაციას, შეიმუშავებს თვალსაზრისს, რომელსაც გააცნობს და შეუთანხმებს ჯგუფის წევრებს

**ქართ. VII. 4.**
- კითხულობს მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს სხვადასხვა მიზნით

**ქართ. VII. 8.**
- ამოიცნობს და განმარტავს ფრაზებსა და სიტყვებს

**ქართ. VII. 10.**
- იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას შესწავლითი კითხვის დროს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

გასაგებად (კონტექსტს, სიტყვათა აგებულების ცოდნას, ლექსიკონს);

- ადგენს ლექსიკონს და განმარტავს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას;

**ქართ. VII. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.**

## 21-ე საუკუნის ძირითადი უნარ-ჩვევები:

**კომუნიკაცია და თანამშრომლობა**

- სხვადასხვა ჯგუფთან ეფექტური მუშაობის უნარის დემონსტრირება;
- საერთო მიზნების მისაღწევად საჭირო კომპრომისისთვის მზადყოფნისა და მოქნილობის დემონსტრირება;
- პასუხისმგებლობების გაზიარება მუშაობის პროცესში.

## საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები

**საინფორმაციო წიგნიერება**

- ინფორმაციის ეფექტურად და ეფექტიანად მოპოვება;
- ინფორმაციაზე წვდომისა და მისი გამოყენების ეთიკურ/სამართლებრივ საკითხებზე საფუძვლიანი წარმოდგენის ქონა.

**მედიაწიგნიერება**

- მედიაგზავნილების შექმნის, მათი მიზნობრიობის, გამოყენებული ინსტრუმენტების, მახასიათებლებისა და კონვენციების ცოდნა;

**ისტ(ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) წიგნიერება**

- ციფრული ტექნოლოგიების, კომუნიკაციის ინსტრუმენტებისა და/ან ქსელების შესატყვისი გამოყენება ინფორმაციაზე წვდომის, მისი მართვის, ინტეგრაციის, შეფასებისა და შექმნისათვის გენერირება ცოდნის ეკონომიკაში ფუნქციონირების მიზნით;

**პროექტის სასწავლო მიზნები/სწავლის შედეგები**

მოსწავლეები შეძლებენ:

- მხატვრული და არამხატვრული ტექსტების დაკვირვებით კითხვას;
- უცხო სიტყვების მოძებნას, ლექსიკონზე მუშაობასა და შედგენას;
- გაიაზრონ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათაც შეიძლება შექმნან თანატოლებისათვის სასარგებლო პროდუქტი;
- გამოიყენონ სხვადასხვა ელექტრონული და ბეჭდური მასალა ინფორმაციის შესაგროვებლად და გასაერთიანებლად, შემდეგ კი მიღებული ცოდნის აუდიტორიისათვის გადასაცემად.

**მიმართულების მიმცემი საკვანძო შეკითხვები**

| | |
|---|---|
| **ზოგადი კითხვა** | ყველა სიტყვის მნიშვნელობა ვიცით? |
| **თემატური კითხვები** | რატომ გვიჭირს უცხო ტექსტის გაგება?<br>როგორ დაგვეხმარება ლექსიკონი ტექსტის გაგებაში?<br>როგორ შეგვიძლია ჩვენც დავეხმაროთ სხვებს ტექსტის გაგებაში?<br>გვჭირდება ელექტრონული ლექსიკონის შექმნა? |
| **შინაარსობრივი კითხვები** | სად მოვიძიო უცხო სიტყვათა განმარტებები?<br>როგორ გავაკეთოთ ლქსიკონი? |

| შეფასების გეგმა |
|---|
| შეფასების დროის ჩარჩო |

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

| პროექტზე მუშაობის დაწყებამდე | | მოსწავლეები მუშაობენ პროექტებზე და ასრულებენ დავალებებს | | პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ | |
|---|---|---|---|---|---|
| T დიაგრამა (სიტყვები განმარტებისთვის); | დღიურები | შეკითხვის დასმა;<br>მოკლე ჩანაწერები. | პრეზენტაციის რუბრიკა;<br>ბლოგის რუბრიკა. | შეკითხვები;<br>უკუკავშირის ფორმა. | პრეზენტაციის რუბრიკა. |

**შეფასების/შეფასების ინსტრუმენტების მოკლე მონახაზი**

1. განმავითარებელ შეფასებას ვიყენებ პროექტის თემაზე მუშაობის დაწყებამდე, რათა განვსაზღვრო შესაბამისი სასწავლო ღონისძიებები;
2. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული პროექტის მოლოდინების, სასწავლო მიზნების, პროექტების კრიტერიუმების შესწავლასა და გაგებაში;
3. მოსწავლეები იყენებენ პროექტის გეგმას, რათა მონიტორინგი გაუკეთონ სწავლის პროცესს და დამოუკიდებლად შეძლონ სამუშაოს გაგრძელება;
4. სისტემატურად ვიყენებთ ჩანაწერებსა და დაკვირვების ფურცელს, რათა მონიტორინგი გავუწიო ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას;
5. მოსწავლეები აწარმოებენ თვითშეფასებას; თანატოლთა შეფასებას.

**სხვა საკითხები**

**საბაზისო უნარ-ჩვევები**

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მუშაობა კომპიუტერულ პროგრამებში: Word, PowerPoint, საძიებო საიტებსა და ბლოგზე მუშაობა.

**სასწავლო პროცედურები**

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

გავმართეთ დისკუსია საკითხის გარშემო: ვიცით თუ არა ყველა სიტყვის მნიშვნელობა. შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვებზე: რატომ გვიჭირს უცხო ტექსტის გაგება? როგორ დაგვეხმარება ლექსიკონი ტექსტის გაგებაში? აღმოჩნდა, რომ ხშირად მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება მოიძიონ უცხო სიტყვები სახლში და დაიბადა იდეა, როგორ შეგვიძლია ჩვენც დავეხმაროთ ერთმანეთს ტექსტის გაგებაში? იქნებ ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმაროს ელექტრონული ლექსიკონის შექმნა?
მოსწავლეები განაწილდნენ ოთხ ჯგუფშად, თითო ჯგუფში 5 მოსწავლე. სახელმძღვანელო გავყავით ორ ნაწილად. ეს მეორედი განაწილდა კიდევ ოთხ ნაწილად. თითო ჯგუფს სამუშაოდ მიეცა ერთი ნაწილი. სამუშაო დრო ორი კვირა. დავალება: უნდა წაიკითხონ ტექსტები, ამოიწერონ უცხო სიტყვები, მოძებნონ მათი განმარტება, მიუთითონ ტექსტიდან ციტატა, სადაც ეს სიტყვაა გამოყენებული და სათაური. უნდა შეავსონ T დიაგრამა. ლექსიკონის შესადგენად უნდა გამოიყენონ სქოლიოები მათ სახელმძღვანელოში და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი. http://www.nplg.gov.ge/ ჯგუფის ლიდერმა უნდა მოუყაროს თავი მასალას და დაალაგოს ანბანის რიგზე. ერთი კვირის მერე ჯგუფები გააკეთებენ მასალის პრეზენტაციას. შეფასებისა და მითითებების მიცემის შემდეგ, იმავე პრინციპით გაინაწილებენ სამუშაო მასალას სახელმძღვანელოს მეორე ნაწილიდან. სამუშაოდ ეძლევათ ისევ ორი კვირა. მასალების შემოწმებასთან ერთად მასწავლებელი აწარმოებს მოსწავლეებზე დაკვირვების დღიურებს.
ხუთი-ექვსი კვირის მერე მზად იქნება მასალა. შეფასებისა და ჩასწორებების შემდეგ მუშაობას იწყებენ ბლოგზე. მასალა უნდა ატვირთონ ანბანის რიგზე.
პროექტის ბოლოს ჯგუფში მომზადებული მასალის საფუძველზე ჩავატარებთ ტესტირებას, რითიც შემოწმდება მუშაობის შედეგი.
პრეზენტაცია ჩატარდება სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში. მოსწავლეები შეფასდებიან პრეზენტაციის რუბრიკის მიხედვით. ჯგუფის ლიდერები კი - დამატებით შედგენილი ტესტების მიხედვით. ჯგუფებში დავარიგებ ურთიერთშეფასების ბარათებს.

| დიფერენცირებული სწავლება | |
|---|---|
| სპეციალური საჭიროებები | *კლასში არ არის სსს მოსწავლე* |
| არაქართულენოვანი მოსწავლეები (მოსწავლეები, რომლებისთვის სწავლების ენა არ არის მშობლიური) | *კლასში არ არის არაქართულენოვანი მოსწავლე.* |

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

| | |
|---|---|
| **მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები** | შედარებით მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლე ჯგუფის ლიდერია. მას დაევალება ჯგუფის წევრების ნამუშევრების თავმოყრა.<br>მეორე მოსწავლეს დაევალება მარტივი ტესტების გაკეთება თავისი ჯგუფის წევრებისთვის, რითიც შემოწმდება პროექტზე მუშაობის პროცესში შეძენილი ცოდნა.<br>ჯგუფში მოსწავლეს, რომელიც ყველაზე კარგად ფლობს კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, დაევალება ბლოგზე მუშაობა. |

**სასწავლო თემისთვის საჭირო მასალები**

**ტექნოლოგია – ტექნიკა** (მონიშნეთ პროექტისათვის საჭირო ტექნოლოგიური უზრუნველყოფა)

| | | |
|---|---|---|
| ☐ ფოტოკამერა | ☐ ლაზერული დისკი | ☐ VCR, ვიდეო |
| ☐ კომპიუტერი (ები) | ☐ საბეჭდი მანქანა/პრინტერი | ☐ ვიდეოკამერა |
| ☐ ციფრული კამერა | ☐ პროექტორი | ☐ ვიდეო საკონფერენციო აღჭურვილობა. |
| ☐ DVD ფლეიერი | ☐ სკანერი | ☐ სხვა |
| ☐ ინტერნეტკავშირი | ☐ ტელევიზორი | |

**ტექნოლოგია – პროგრამული უზრუნველყოფა** (მონიშნეთ პროექტის ფარგლებში გამოყენებული პროგრამა/პროგრამები )

| | | |
|---|---|---|
| ☐ მონაცემთა ბაზა/ცხრილები | ☐ ფოტო/სურათების დამუშავება | ☐ ვებგვერდის შექმნა |
| ☐ საგამომცემლო პროგრამები | ☐ ინტერნეტძიება | ☐ ვორდის პროგრამა |
| ☐ ელფოსტის პროგრამა | ☐ მულტიმედია | ☐ სხვა |
| ☐ ენციკლოპედია კომპაქტდისკზე | | |

| | |
|---|---|
| **ბეჭდვითი მასალები** | ქართული ენა და ლიტერატურა, მე-7 კლასის სახელმღძვანელო, ვ. როდონაიას რედაქციით.<br>ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი. |
| **ინვენტარი/მასალები** | პრეზენტაციაზე მოსაწვევად ბუკლეტები, ფორმატები, მარკერები. |
| **ინტერნეტრესურსები** | http://www.nplg.gov.ge/ |
| **სხვა რესურსები** | *მოწვეული სტუმრები, მოსწავლეები სხვა ჯგუფებიდან, მშობლები და ა.შ.* |

პროექტის გეგმას დანართის სახით ვურთავ შეფასების სქემებსა და ტესტის ნიმუშებს:

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

# პროექტის პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

**1.სათაურთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| | პასუხობს პროექტის სათაურს და საინტერესოდაა მოწოდებული | 1 ქულა |
| | ვერ პასუხობს სათაურს და უინტერესოა | 0 ქულა |

**2. თემა**

| | | |
|---|---|---|
| | აზრი თანმიმდევრულია და ლოგიკურად არის აგებული, ლექსიკა მდიდარია და საკითხი ნათლადაა განხილული | 3 ქულა |
| | აზრი თანმიმდევრულია და ლოგიკურად არის აგებული, ლექსიკა მდიდარია, მაგრამ საკითხები არაა ნათლად წარმოდგენილი | 2 ქულა |
| | თემის აზრი და საკითხები ნაწილობრივ გასაგებია, მოითხოვს განმარტებას | 1 ქულა |
| | დარღვეულია ლოგიკა და საკითხებიც ბუნდოვანია | 0 ქულა |

**3. გამოყენებული ლიტერატურა**

| | | |
|---|---|---|
| | მასალის შესაქმნელად გამოყენებულია როგორც სახემძღვანელო, ასევე დამხმარე ლიტერატურა | 2 ქულა |
| | მასალის შესაქმნელად მხოლოდ სახელმძღვანელოა გამოყენებული. | 1 ქულა |

**4. აუდიტორიასთან კონტაქტი**

| | | |
|---|---|---|
| | კარგად ამყარებს აუდიტორიასთან კონტაქტს, გათვალისწინებული აქვს აუდიტორია, საუბრობს დარწმუნებით | 2 ქულა |
| | გათვალისწინებული აქვს აუდიტორია, მისი საუბარი ნაკლებად დამაჯერებელია, უჭირს კონტაქტის დამყარება აუდიტორიასთან | 1 ქულა |
| | ვერ გადმოსცემს სათქმელს | 0 ქულა |

**5. თვალსაჩინოება**

| | | |
|---|---|---|
| | პრეზენტაცია კარგადაა გაფორმებული | 2 ქულა |
| | პრეზენტაცია გაფორმებულია, თუმცა არაა დაცული შროფტის ზომები, გვერდიდან გვერდზე გადასვლის დრო... | 1 ქულა |
| | პრეზენტაცია არაა გაფორმებული | 0 ქულა |

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

# ლიდერის მიერ შედგენილი ტესტის შეფასების რუბრიკა

**1.ტესტის სტრუქტურა**

| | |
|---|---|
| მოსწავლის მიერ შედგენილი ტესტი მრავალფეროვანია და სხვადასხვა სირთულის დავალებბია | 4 ქულა |
| მოსწავლის მიერ შედგენილი ტესტი მრავალფეროვანია, მაგრამ ერთი სირთულის დავალებებია | 3 ქულა |
| მოსწავლის მიერ შედგენილ ტესტში მხოლოდ ერთი ტიპის, მაგრამ სხვადასხვა სირთულის დავალებებიაის | 2 ქულა |
| მოსწავლის მიერ შედგენილ ტესში ერთი ტიპისა და სირთულის დავალებებია | 1 ქულა |

**2. ტესტის შედგენაზე მუშაობა**

| | |
|---|---|
| მოსწავლემ შეძლო ტესტის დამოუკიდებლად შედგენა მასწავლებლის კონსულტაციის შემდეგ | 2 ქულა |
| მოსწავლემ შეადგინა ტესტი, მაგრამ დასჭირდა მასწავლებლის ჩარევა | 1 ქულა |

**3. ტესტის შეფასების რუბრიკა**

| | |
|---|---|
| მოსწავლემ ტესტს თან დაურთო შსეფასების ფურცელი | 2 ქულა |
| მოსწავლემ ტესტს დაურთო შეფასების ფურცელი, მხოლოდ ვერ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი დეტალები | 1 ქულა |

**4. ნაშრომების გასწორება**

| | |
|---|---|
| მოსწავლე თავად ასწორებს ჯგუფის წევრების ნამუშევრებს | 2 ქულა |
| მოსწავლეს მასწავლებლის დახმარება სჭირდება ნამუშევრების გასასწორებლად | 1 ქულა |

## თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა ჯგუფის წევრებისათვის

(თითოეულ კრიტერიუმზე მაქსიმალური ქულა 5)

| | წევრი 5 | წევრი 4 | წევრი 3 | წევრი 2 | წევრი 1 | თვითშე ფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| რა შრომა გასწია მან ჯგუფის მუშაობაში? | | | | | | |
| რამდენი კარგი იდეა შესძინა მან ჯგუფს? | | | | | | |
| რამდენად შეძლო მან ჯგუფის სხვა წევრების მიერ მოწოდებული იდეების გათვალისწონება და გამოყენება? | | | | | | |

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ის დაკისრებულ საქმიანობას? | | | | | | |

## ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

1.ჯგუფის წევრების ჩართულობა

| | |
|---|---|
| ყველა ჩართულია | 2 ქულა |
| უმრავლესობა მუშაობს | 1 ქულა |
| უმცირესობა მუშაობს | 0 ქულა |

2. თანამშრომლობა

| | |
|---|---|
| თანამშრომლობენ, იცავენ რიგითობას, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს | 2 ქულა |
| ჯგუფში დომინირებენ ლიდერები | 1 ქულა |
| კამათობენ, არ უსმენენ ერთმანეთის აზრს, ვერ მიდიან საერთო დასკვნამდე | 0 ქულა |

3. დავალების გაგება - გააზრება

| | |
|---|---|
| დავალება კარგად გაიაზრეს | 2 ქულა |
| დავალება ნაწილობრივ გაიაზრეს | 1 ქულა |
| დავალება საერთოდ ვერ გაიაზრეს | 0 ქულა |

4. დროის ლიმიტი

| | |
|---|---|
| თავს ართმევენ, იცავენ დროის ლიმიტს | 1 ქულა |
| ვერ დაიცვეს დროის ლიმიტი | 0 ქულა |

5. ლიდერი

| | |
|---|---|
| ლიდერი ეფექტურად წარმართავს ჯგუფის მუშაობას | 2 ქულა |
| ლიდერია არც ისე კარგად წარმართავს ჯგუფის მუშაობას | 1 ქულა |
| ლიდერი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას | 0 ქულა |

6. ბლოგზე მუშაობა

| | |
|---|---|
| ჯგუფის წევრმა შეძლო ნამუშევრების ბლოგზე თავმოყრა | 1 ქულა |
| ჯგუფის წევრმა ვერ შეძლო ნამუშევრების ბლოგზე თავმოყრა და დასჭირდა სხვა ჯგუფის წევრების დახმარება | 0 ქულა |

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

## პროექტის შეფასების კითხვარი მოსწავლეებისათვის

პროექტის დასახელება:

პროექტზე მუშაობის ვადები:

1.როგორ ფიქრობ, ამ პროექტზე მუშაობით ისწავლე რაიმე ახალი?

ა)ბევრი ახალი ვისწავლე;  ბ)ვისწავლე ახალი;  გ)არაფერი მისწავლია ახალი

2. როგორ შეაფასებდით მუშაობის პროცესს?

ა) საინტერესო          ბ) მოსაბეზრებელი

3. ისწავლეთ თუ არა რაიმე ახალი ამ პროექტზე მუშაობისას?

ა) დიახ                    ბ) არა

(დადებითი პასუხის შმთხვევაში, გთხოვთ, მოკლედ ჩამოაყალიბოთ თქვენი აზრი)

------------------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------------------

4. რა დაგამახსოვრდათ მუშაობის პროცესში განსაკუთღებით?

(გთხოვთ, მოკლედ ჩამოაყალიბოთ თქვენი პასუხი)

------------------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------------------

შემაჯამებელი ტესტი

ჯგუფი #1 - ჯგუფის ლიდერი ანა მეტრეველი

სახელი, გვარი

1. განმარტეთ სიტყვები:

(1 ქულა) არა ზარობდა

(1 ქულა) სიტყვა უგო

(1 ქულა) სალდათი

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

(1 ქულა) ემლო
(1 ქულა) მარჩილი

2. რომელ ტექსტში შეგვხვდა ეს ფრაზები?
(1 ქულა) სმენა, თქმა, სწავლის ძიება მოძებართაგან ახია

(1 ქულა) შიგთვითონ ეზო ისეთი უწმინდური იყო როგორც ძველი ჩინოვნიკი გული

(1 ქულა) მისის გულისთქმით გამდიდრება წუთზე წაუხდა

(1 ქულა) შუა უფროსად ერთი ეთიოპელი შავი იჯდა

3. რა ჰქვია ლექსიკონს, სადაც სიტყვის განმარტების მოძიება შეგვიძლია?
(1 ქულა)

**შეფასების ფურცელი**
თითი სწორი პასუხი ერთი ქულაა. მაქსიმალური ქულა 10
1.
ა. არ ერიდებოდა.
ბ. უპასუხა, გამოეპასუხა
გ. ჯარისკაცი
დ. შეეძლო.
ე. ფულის ერთეული.
2.
ა. „სწავლა მოსწავლეთა“
ბ. „კაცია-ადამიანი?!“
გ. „გლახაკი და ქილა ერბო“
დ. „მოგზაურობა ევროპაში“.
3.
განმარტებითი ლექსიკონი.

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

# ტესტი
# ჯგუფი #2 - ჯგუფის ლიდერი ნინო კურტანიძე

კლასი, სახელი და გვარი

**(4 ქულა) 1. განმარტეთ სიტყვები:**
მაგისტრი
დავიკვებოთ
უსწორო ომები ვასწორეთ
ეგ ვიღას დანარჩენია

**(2 ქულა) 2. ვინ შეადგინა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პირველად და რა ჰქვია მას?**

**(4 ქულა) 3. მოუძებნეთ სინონიმი სიტყვებს:**
პაშტა
საქოლავი
ბოღჩა
წარუკა

## შეფასების ფურცელი
## ერთი სწორი პასუხი ერთი ქულაა.

1.განმარტეთ სიტყვები:
ოსტატი; მომავალში ვისურვოთ.; უთანასწორო ომები ღირსეულად გადავიხადეთ.; ვინ არის, ვისი შვილია.

2. „სიტყვის კონა“; სულხან-საბა ორბელიანი

3. მოუძებნეთ სინონიმები:
ცოტა; სამარე; ფუთა; უსუფთაო.

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

# ტესტი
# (ჯგუფი #3 - ჯგუფის ლიდერი ლერი ზივზივაზე)

მოსაწავლის სახელი და გვარი ..................................................................................

1. განმარტეთ სიტყვები: (3 ქულა)
ზნე
ქერონა
სირინოზი

2. ჩასვით შესაფერისი სიტყვა და განმარტეთ ჩასმული სიტყვა: (6 ქულა)
წყლის ქვეშე უცხო ..... ჰყვავისო.
ა) სამოთხე; ბ) წალკოტი; გ) ბაღი.
..........................................................................................................................................
....... , უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ არ შეედრება
ა) მიბუნდულს; ბ) წალკოტს; გ) დაჯანღებულს.
..........................................................................................................................................
იგიცა შესწიროს ......... ლურჯსა ცას!
ა) მზემან; ბ) ნათელმან; გ) ციაგმან.
..........................................................................................................................................

3. რა ტიპის ლექსიკონს ეწოდება განმარტებითი ლექსიკონი? (1 ქულა)

ტესტის შეფასების ფურცელი

1.
ჩვეულება
ზღურას მსგავსი ნაცრისფერი ჩიტი.
მოთოლოგიაში; ქალის თავის მოქონე წყლის არსება რომელსაც მომაჯადოებელი ხმა აქვს.
2.
ბ) წალკოტი;
ა) მიბუნდულს;
გ) ციაგმან.
3. განმარტებით ლექსიკონში სიტყვევის განმარტება იმავე ენაზე მოცემული.

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს

ტესტი

ჯგუფი 4 - ლიდერი ცოტნე კვიჟინაძე

**1. გაიხსენეთ, რომელი ნაწარმოებიდანაა ციტატები და განმარტეთ ხაზგასმული სიტყვები:**

ა. (2) მინდა ვიყო თავანკარა გაზაფხული.

ბ. (2) დღემდე რომ მწარედ კრულ იყო.

გ. (2) ისინი განსაკუთრებულ პუნქტუალურობას იჩენდნენ ჩვენი დახვრეტის წინ.

დ. ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მოურიდენ.

**(2) 2. რა იცით „სიტყვის კონის" შესახებ?**

**შეფასების ფურცელი**

1.
ა. „ჩემი მიწის სადღეგრძელო", წმინდა, აუმღვრეველი.
ბ. „სულიკო", დაწყევლილი.
გ. „ბურებთან", სიზუსტე.
დ. „მზეო თიბათვისა" , ავი თვალი აარიდე

2.
„სიტყვის კონა" არის სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში. *სხვა სახელსა და სავაჭრო ნიშანზე სხვა კომპანიის საკუთრების უფლება შეიძლება გავრცელდეს